საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1106

19/11/2019

ქ. თბილისი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის'' ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავების და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.3 და 5.1 ქვეპუნქტების და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის'' ასფალტის წარმოების, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავების და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 110 (13.11.2019წ.);
2. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპმა'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 110 (13.11.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი